

# ზურმუხტის ქსელი

ინსტრუმენტი ევროპის  
ბუნებრივი ჰაბიტატების  
დასაცავად



---

Funded  
by the European Union



EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

---

Implemented  
by the Council of Europe

# რატომ უნდა დავიცვათ ბუნებრივი ჰაბიტატები?

ბიომრავალფეროვნება კატასტროფულად სწრაფად მცირდება როგორც ევროპაში, ისე მთელს მსოფლიოში. ფიქრობენ, რომ დღეს ადამიანის მიერ გამოწვეული სახეობათა გადაშენების ტემპი 100-ჯერ, შესაძლოა 1000-ჯერ აღემატება სახეობების გადაშენების ბუნებრივი პროცესის მაჩვენებელს და ბევრად მაღალია ვიდრე ახალი სახეობების აღმოჩენის მაჩვენებელი. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) თანახმად, ევროპაში გადაშენების საფრთხის წინაშეა ძუძუმწოვართა 15%, ფრინველების 13%, მტკნარი წყლის თევზების 37% და ამფიბიების 23%. ბიომრავალფეროვნება არის ბუნებრივი მემკვიდრეობა, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ, რადგან იგი ერთი მხრივ, თავისთავად დიდ ღირებულებას წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, ადამიანს ე.წ. ეკოსისტემურ სერვისებს აწვდის, როგორცაა, მაგალითად, საკვებით უზრუნველყოფა, სუფთა ჰაერითა და სასმელი წყლით მომარაგება, საკვების მომცემი მცენარეების დამტვერვა, რეკრეაცია და სხვ. ბიომრავალფეროვნების განადგურების მთავარ მიზეზებს შორისაა ბუნებრივი ჰაბიტატების ფრაგმენტაცია, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი ტერიტორიების ჭარბი ექსპლოატაცია და ხელოვნური ლანდშაფტების შექმნა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაცია ამ უარყოფით პროცესებთან დაპირისპირების და, მამასადამე, ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის მთავარი საშუალებაა.





## რა მექანიზმებით უზრუნველყოფს ევროპის საბჭო ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვას?

■ ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად ევროპის საბჭოს გააჩნია ორი ძირითადი მექანიზმი:

- ▶ 1965 წელს შეიქმნა დაცული ტერიტორიების ევროპის დოკლომი, საერთაშორისო სტატუსი, რომელიც ენიჭება ევროპული მნიშვნელობის სათანადოდ დაცულ და სამაგალითოდ მართულ ბუნებრივ ან ნახევრად ბუნებრივ ტერიტორიებს.
- ▶ 1979 წელს კი შეიქმნა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონვენცია, ე.წ. „ბერნის კონვენცია“, რომელიც ხელმძღვანელი ქვეყნებისთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია. მისი მიზანია ველური ფლორისა და ფაუნის, ასევე ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ბუნების დაცვის სფეროში.

■ 1989 წელს ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნებმა ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად შექმნეს სპეციალური მექანიზმი: ზურმუხტის ქსელი.

### ზურმუხტის ქსელის სტატისტიკა

2017 წლის მდგომარეობით ზურმუხტი ს ქსელი მოიცავს:

- ▶ დაახლოებით 3 500 კანდიდატ ან დამტკიცებულ „საიტს“ 16 ქვეყანაში;
- ▶ თითქმის 700 000 კმ<sup>2</sup>-ს;
- ▶ ქვეყნების ტერიტორიის საშუალოდ 12,5%-ს.



## რა არის ზურმუხტის ქსელი?

■ ზურმუხტის ქსელი არის ეკოლოგიური ქსელი, რომელიც შედგება „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისაგან“.

### ეკოლოგიური ქსელი

■ ეკოლოგიური ქსელი - ზურმუხტის ქსელი არის ურთიერთდაკავშირებულ ტერიტორიების სისტემა, სადაც ხორციელდება შესაბამისი მართვა, მონიტორინგი და ანგარიშგება. რამდენადაც იგი ბერნის კონვენციის ეგიდით შეიქმნა, მისი მიზანია იმ სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიანი შენარჩუნების უზრუნველყოფა, რომლებიც ამ კონვენციის მიხედვით დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს საჭიროებენ (მაგალითად, შევარდენი ან მოძრავი სანაპირო დიუნები)

### სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისაგან შექმნილი ქსელი

■ ზურმუხტის ქსელი სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისაგან შედგება.

■ ეს არის ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ სახარბიელო კონსერვაციული (ეკოლოგიური) სტატუსის შენარჩუნების ან აღდგენის პოტენციალი ისეთი სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან:

- ▶ საფრთხის წინაშე მყოფ, ენდემურ, მიგრირებად და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სახეობებს;
- ▶ საფრთხის წინაშე მყოფ ან სამაგალითო ჰაბიტატებს და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებისგან შემდგარ მოზაიკურ ჰაბიტატებს;
- ▶ მიგრირებად სახეობებს, რომლებიც ევროპული ქვეყნების საერთო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს.


■ ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნები დეზიგნაციას უკეთებენ სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებს. ამ ტერიტორიების შერჩევა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ხდება და მათ უნდა დააკმაყოფილონ სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის შემდეგი კრიტერიუმები:

- ▶ ტერიტორია მნიშვნელოვანია სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის მათი გავრცელების არეალის, მრავალფეროვნების და კონკრეტული კონსერვაციული საჭიროებების თვალსაზრისით;
- ▶ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჰაბიტატების/სახეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დონეზე მათ გავრცელებასთან/ეროვნულ პოპულაციასთან მიმართებაში.

## როგორ მუშაობს ზურმუხტის ქსელი პრაქტიკაში?

### ქსელის ჩამოყალიბების ფაზები

ზურმუხტის ქსელის ჩამოყალიბება კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია. იგი სამ ფაზას მოიცავს.



ზურმუხტის ქსელის შექმნის პროცესი მართალია, სამ ფაზად იყოფა, მაგრამ უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. მაგალითად, შეთავაზებული „საიტების“ სიაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ასევე მეცნიერული ცოდნის გაუმჯობესების ან ბუნებაში მომხდარი ცვლილებების გამო, შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ტერიტორიების გამოყოფა და, აქედან გამომდინარე, პროცესის თავიდან დაწყება.


### ზურმუხტის ქსელის დანერგვის კალენდარი

2010 წელს ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა მიიღო ზურმუხტის ქსელის დანერგვის ამბიციური კალენდარი. ეს კალენდარი აწესებს ეტაპებსა და ვადებს თითოეულ ქვეყანაში ქსელის ჩამოყალიბების სხვადასხვა ფაზისათვის.

მთავარი ამოცანაა ზურმუხტის ქსელის სრულად ამოქმედება 2020 წლისთვის.

### სად იქმნება ზურმუხტის ქსელი?

ზურმუხტის ქსელის შექმნა ევალებათ ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნებსა და დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს. 2017 წლის მდგომარეობით, მათ შორისაა ევროკავშირის 28 წევრი ქვეყანა, ევროპის დანარჩენი 19 და აფრიკის 4 ქვეყანა.



### ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები

■ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შექმნილია «ზურმუხტის ქსელის» ანალოგიური ეკოლოგიური ქსელი «ნატურა 2000».

■ რამდენადაც ბერნის კონვენციის გეოგრაფია სცდება ევროკავშირის ფარგლებს, „ნატურა 2000“ განიხილება „ზურმუხტის ქსელის“ ნაწილად. ეს ორი ქსელი სრულად თავსებადია ერთმანეთთან.:

### ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები

■ ზურმუხტის ქსელი იქმნება ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნებში და ასევე დამკვირვებელ სახელმწიფოებში, რომლებიც ევროკავშირის მეზობლად მდებარეობენ.

■ ზურმუხტის ქსელმა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ევროპული სტანდარტები ევროკავშირის ფარგლებს გარეთ გაავრცელა. გარდა ამისა, ის კანდიდატ სახელმწიფოებს ეხმარება ევროკავშირში გასაწევრიანებლად „ნატურა 2000-ის“ განხორციელებისთვის მომზადებაში და, აქედან გამომდინარე, ზოგადად ევროკავშირთან მიერთებაში.

■ ამჟამად ბერნის კონვენციის 16 მხარე და დამკვირვებელი სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ზურმუხტის ქსელის შექმნაზე. 2012-2016 წლებში მიმდინარეობდა აღმოსავლეთი ევროპისა და სამხრეთი კავკასიის 7 ქვეყანაში ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბება - II ფაზა“, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწყევდა სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას.

### აფრიკის ქვეყნები

■ ზურმუხტის ქსელის გაფართოება აფრიკის ქვეყნებში მნიშვნელოვანია მიგრირებადი სახეობების კონსერვაციის მხრივ. კერძოდ, ამან შეიძლება წვლილი შეიტანოს ევროპის მიგრირებადი სახეობების კლუბის ტენდენციის შეჩერებაში და ხელი შეუწყოს ერთობლივ ქმედებებს ამ სახეობათა გენეტიკური მრავალფეროვნების და მათი ჰაბიტატების დაცვისთვის.

■ მაროკოს სამეფო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომელიც აქტიურად ჩაერთო ზურმუხტის ქსელში.

## საკონტაქტო ინფორმაცია

ივა ობრეტენოვა (Iva Obretenova)  
ბერნის კონვენციის სამდივნო  
DG II – დემოკრატია  
F-67075 Strasbourg Cedex  
ტელ: +33 (0)3 90 21 58 81  
E-mail: Iva.Obretenova@coe.int

### თეონა ქარჩავა

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი  
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
გულუას 6, 0114, თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 272 72 31  
ელ-ფოსტა: t.karchava@moe.gov.ge, teonakarchava@yahoo.com

[www.coe.int/emerald](http://www.coe.int/emerald)  
[www.coe.int/bernconvention](http://www.coe.int/bernconvention)



[www.facebook.com/bernconvention](http://www.facebook.com/bernconvention)

The Council of Europe is the continent's leading human rights organisation. It comprises 47 member states, 28 of which are members of the European Union. All Council of Europe member states have signed up to the European Convention on Human Rights, a treaty designed to protect human rights, democracy and the rule of law. The European Court of Human Rights oversees the implementation of the Convention in the member states.

[www.coe.int](http://www.coe.int)

The European Union (EU) is a unique economic and political partnership between 28 democratic European countries. Its aims are peace, prosperity and freedom for its 500 million citizens – in a fairer, safer world. To make things happen, EU countries set up bodies to run the EU and adopt its legislation. The main ones are the European Parliament (representing the people of Europe), the Council of the European Union (representing national governments) and the European Commission (representing the common EU interest).

<http://europa.eu>

Funded  
by the European Union



EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

Implemented  
by the Council of Europe